პროლეტარებო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

სკკ(ბ) ც. კ. ს. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და სკკ(ბ) სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

 კვირა, 3 იანვარი, 1943 წ. № 2 (6627). ფასი 20 კაპ.

1943 წელი

ისტორიას ჩაბარდა 1942 წელი, ფრონტზე და ზურგში საბჭოთა ხალხის დიადი საქმეებისა და გმირობის წელი. მძიმე, ძნელი, მაგრამ სახელოვანი გზა განვლო ამ წელს საბჭოთა ქვეყანამ. გაცოფებულმა, გამხეცებულმა მტერმა დარაზმა მთელი თავისი და თავის ევროპელ მოკავშირეთა ძალები იმ იმედით, რომ გაანადგურებდა საბჭოთა ჯარებს, გაიჭრებოდა ვოლგისაკენ, გარს შემოერტყმოდა მოსკოვს. 240 დივიზია, ჰიტლერის სამხედრო მანქანის მთელი ძლიერება მოყრილი იყო საბჭოთა კავშირგერმანიის ფრონტზე. ფაშისტთა ბოროტი გააფთრება დაიმსხვრა საბჭოთა ძლავრი თავდაცვის სალკლდეზე და მხოლოდ ბევრად უფრო გვიან მიხვდა დამარცხებული მტერი, რომ სტალინგრადის გმირული ეპოპეა ნიშნავდა არა მარტო თავდაცვას, რომ სტალინგრადი იყო არა მარტო ჯებირი, რომელიც აკავებდა ფაშისტური აგრესიის მღვრიე ტალღას, არამედ სტალინგრადი იყო საწყისი პუნქტი გამანადგურებელი კონტრდარტყმისათვის.

სტალინგრადთან გარშემორტყმულმა, დონთან დამარცხებულმა ჰიტლერელმა ბანდიტებმა გაიგეს, თუ რას ნიშნავდა გასული წლის ნოემბერში ნათქვამი წინასწარმეტყველური სიტყვები ამხანაგ სტალინისა: „მტერმა უკვე თავის ტყავზე გამოსცადა წითელი არმიის წინააღმდეგობის უნარი. იგი კიდევ გაიგებს წითელი არმიის გამანადგურებელი დარტყმების ძალას“.

გუშინ „პრავდაში“ გამოქვეყნდა საბჭოთა საინფორმაციო ბიუროს ცნობა სტალინგრადის მისადგომებზე ჩვენი ჯარების ექვსი კვირის შეტევის შედეგების შესახებ. ამ ბრძოლების შედეგები ფრიად მნიშვნელოვანია. გერმანელთა სარდლობის სტრატეგიული გეგმა იმაში მდგომარეობდა, რომ დაეპყროთ სტალინგრადი, საბჭოთა კავშირის ცენტრალური ევროპული ნაწილი მოეწყვიტნათ ვოლგისა და ურალის ზურგისაგან, გარს შემორტყმოდნენ და აეღოთ მოსკოვი. ომის მსვლელობამ გვიჩვენა, რომ ეს გეგმა აგებული იყო ქვიშაზე, ფაშისტური გერმანიის და მის მოკავშირეთა რეალური ძალების გაუთვალისწინებლად, საბჭოთა კავშირის შესაძლებლობებისა და რეზერვების გაუთვალისწინებლად.

ჰიტლერის ამ არარეალური გეგმის სრული წინააღმდეგობა იყო სტალინგრადთან გერმანელ ფაშისტთა ჯარების გარშემორტყმისა და განადგურების სტრატეგიული გეგმა, შექმნილი წითელი არმიის უმაღლესი მთავარსარდლობის მიერ. უძნელესი ოპერაცია წითელი არმიის ჯარების მიერ განხორციელებულ იქნა უმოკლეს ვადაში სამ ეტაპად. ექვსი კვირის განმავლობაში ჩვენმა ჯარებმა გაანადგურეს მოწინააღმდეგის 36 დივიზია, მძიმე ზარალი მიაყენეს კიდევ შვიდ დივიზიას, გაყლიტეს მტრის 175 ათასი ჯარისკაცი და ოფიცერი და ტყვედ წამოიყვანეს 137.650 ჰიტლერელი. წამოღებულია და მოსპობილია მტრის დიდძალი თვითმფრინავი, ტანკი, ქვემეხი, ნაღმსატყორცნი, ტყვიამფრქვევი და სხვა სამხედრო ქონება. მჭიდრო რკალი აქვს შემორტყმული მტრის 22 დივიზიას სტალინგრადის რაიონში.

ასეთია ექვსი კვირის შედეგები სტალინგრადთან წარმოებული ბრძოლებისა, რომლებიც ტარდებოდა წითელი არმიის უმაღლესი მთავარსარდლობის მთავარბანაკის მიერ დამუშავებული სტრატეგიული გეგმის მიხედვით, სტალინური სტრატეგიული გეგმის მიხედვით.

საბრძოლო ინიციატივა მტკიცედ უპყრია ხელთ წითელ არმიას. ჩვენი ჯარები ყოველდღე ათავისუფლებენ ჰიტლერელ დამპყრობთაგან ახალ ქალაქებსა და სოფლებს, რკინიგზის სადგურებს. მარტო სტალინგრადის მისადგომებზე წითელი არმიის ნაწილების მიერ განთავისუფლებულია ჰიტლერელ დამპყრობთაგან 1.589 დასახლებული პუნქტი, სულ კი სტალინგრადის რაიონში, ცენტრალურ ფრონტზე და დონის შუაწელის რაიონში ჩვენი შეტევის მთელი დროის განმავლობაში საბჭოთა ალმი კვლავ აფრიალდა ორი ათასზე მეტ დასახლებულ პუნქტში.

დღეს საბჭოთა საინფორმაციო ბიურო იუწყება, რომ წითელმა არმიამ აიღო ქალაქი და რკინიგზის კვანძი ველიკიე ლუკი, ყალმუხეთის ასს რესპუბლიკის დედაქალაქი — ქალაქი ელისტა, რაიონული ცენტრები ტორმოსინი და ჩიკოლა.

თუ ჩავუფიქრდებით ომის მთელი გასული წლის შედეგებს, შეიძლება დარწმუნებით ვთქვათ, რომ დღეს სამხედრო მდგომარეობა ჩვენთვის უფრო ხელსაყრელია, ვიდრე იგი გასული წლის ამავე დროს იყო, თუმცა ჩვენი არმია მტერს მაშინაც სერიოზულ დარტყმებს აგემებდა. ყოველი კილომეტრი გავლილი გზა გერმანელებს წელს გაცილებით უფრო მეტ მსხვერპლად დაუჯდათ, ვიდრე შარშან. ამავე დროს წითელი არმია ძალას ამზადებდა, რათა საპასუხო დარტყმები ეგემებინა მტრის ჯარებისათვის.

„ყოველივე ამან, ერთად აღებულმა, ის გამოიწვია, რომ ინიციატივა კვლავ გადმოვიდა ჩვენი სარდლობის ხელში, რომელმაც არ დააყოვნა მისი სრული ზომით გამოყენება“,—სთქვა თავის საახალწლო სიტყვაში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხ. მიხეილ ივანეს-ძე კალინინმა.

ხალხი-მეომარი იბრძოდა ფრონტზე, იგერიებდა მტრის გააფთრებულ იერიშებს, სპობდა მის ცოცხალ ძალასა და ტექნიკას, ამზადებდა ახალ გამანადგურებელ დარტყმებს მტრის წინააღმდეგ. ხალხი-მშრომელი ჰქმნიდა ახალ სამრეწველო ბაზებს, გადაჰქონდა ქარხნები, აშენებდა ახალ ქარხნებს, და მთელი მსოფლიოს აღტაცებულ თვალთა წინაშე თავისი ახალი ძალა გამოაჩინა სტალინურმა ურალმა, რომელიც ბახდა არსენალი, სამჭედლო ყველა სახისა და გვარეობის იარაღისა ჩვენი წითელი არმიისათვის.

გასული წლის დამდეგს ურალელებმა ფიცი დასდეს ამხანაგ სტალინის წინაშე, რომ ფრონტს მისცემდნენ ორჯერ — სამჯერ უფრო მეტ საჭურველსა და საომარ მასალას, ვიდრე 1941 წელს. ეს ვალდებულება უკვე პირველ ნახევარწელში იქნა შესრულებული. გასული წლის მეორე ნახევარში სვერდლოვსკის ოლქის მშრომელებმა დაამზადეს და წითელ არმიას გადასცეს ორნახევარჯერ უფრო მეტი თვითმფრინავი, ტანკი, ზარბაზანი, ნაღმსატყორცნი, ვიდრე პირველ ნახევარ წელში. ამხანაგ სტალინისადმი წარგზავნილ თავიანთ საახალწლო პატაკშიც ურალის პატრიოტები კისრულობენ ვალდებულებას გააკეთონ ყველაფერი, რომ 1943 წელს კიდევ უფრო მეტი რაოდენობით დაამზადონ ყველაფერი, რაც საჭიროა გამარჯვებისათვის, საძულველი მტრის განადგურებისათვის.

ასეთივე უმაგალითო შემოქმედებითი აღფრთოვანებით მოცულია საბჭოთა კავშირის ყველა დანარჩენი ოლქები და რესპუბლიკები. წლინახევრის მანძილზე წარმოებულმა ომმა კი არ დაასუსტა, არამედ კიდევ უფრო განამტკიცა საბჭოთა ზურგი, უფრო მჭიდროდ შეაკავშირა საბჭოთა კავშირის მოძმე ხალხები გერმანელ ყაჩაღთა წინააღმდეგ საბრძოლველად. ზურგი შეუფერხებლივ ჰგზავნის ფრონტზე ტანკებს, თვითმფრინავებს, ზარბაზნებს, ნაღმსატყორცნებს, ტყვიამფრქვევებს, შაშხანებს, საომარ მასალებს, ჰგზავნის დაუბრკოლებლივ და მთლიანად ასრულებს სტალინურ ბრძანებას „შეუპოვრად და დაყენებით ვამზადოთ გამანადგურებელი დარტყმა მტრის წინააღმდეგ“.

უდიდესი გაქანება სოციალისტური შეჯიბრებისა, რომელშიც ჩვენი მრეწველობის ყველა დარგი მონაწილეობს, მოწმობს იმას, რომ ყველა საბჭოთა ადამიანი გამსჭვალულია ერთიანი მისწრაფებით—გააკეთოს რაც შეიძლება მეტი, რაც შეიძლება უკეთესად სამშობლოსათვის, იმ დიადი განმათავისუფლებელი ბრძოლისათვის, რომელსაც ჩვენი ხალხი ეწევა. თითოეული დღე იძლევა ამ მძლავრი, უშრეტი მისწრაფების ახალ დამადასტურებელ საბუთებს.

დღეს ჩვენ ვიგებთ საბჭოთა ზურგის კიდევ ერთი დიდი მიღწევის ამბავს—მოსკოვის მეტროპოლიტენის მესამე რიგის ამუშავების ამბავს.

ამ წლის განმავლობაში სოფლის მეურნეობამ მოიპოვა უდიდესი გამარჯვებები, გააფართოვა რა სათესი ფართობები და გაადიდა რა საშემოდგომო ნათესები აღმოსავლეთში.

„ჩვენი კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები აგრეთვე პატიოსნად და წესიერად ამარაგებენ მოსახლეობასა და წითელ არმიას სურსათით, ხოლო ჩვენს მრეწველობას — ნედლეულით“, — სთქვა ამხანაგმა სტალინმა.

„ყველაფერი ფრონტისათვის“—ამ ლოზუნგმა, რომელიც საბჭოთა ადამიანებისათვის დროშა გახდა, ღრმად და მტკიცედ გაიდგა ფესვები საკოლმეურნეო სოფელში. სწორედ იგი გახდა ამჟამად წყარო საბჭოთა პატრიოტიზმის ახალი აღმავლობისა, რომელმაც ახლა მთელი ჩვენი ქვეყანა მოიცვა. ტამბოველ კოლმეურნეთა და სარატოველი კოლმეურნის თერაპონტე პეტრეს-ძე გოლოვატის უაღრესად პატრიოტულმა თაოსნობამ წარმოშვა ჭეშმარიტად სახალხო მოძრაობა, რომელიც ამჟამად მოედო ჩვენი ხალხის ყველა ფენებს — კოლმეურნეებს, მუშებს, ინტელიგენციას.

ამ წელს საბჭოთა ხალხმა დიდი ხახელი მოიხვეჭა. მან მოიხვეჭა იგი შრომითი საქმეებითაც და მეომრული საგმირო ხაქმეებითაც. და ეს სახელი ჰქუხს მთელ მსოფლიოში, საბჭოთა ქვეყნისაკენ იზიდავს ყველა თავისუფლებისმოყვარე ხალხთა სიყვარულისა და აღტაცების მხურვალე ტალღას, როგორც იმ ხალხებისას, რომლებიც ჰიტლერის წინააღმდეგ ფრონტებზე იბრძვიან, ისე იმ ხალხებისას, რომლებიც საძულველ ფაშისტურ ტყვეობაში იტანჯებიან. საბჭოთა კავშირის საერთაშორისო კავშირურთიერთობა ისე მკვიდრი და მტკიცეა, როგორც არასოდეს არ ყოფილა.

საბჭოთა ხალხი ახალ წელს იწყებს ამაყად თავაწეული, ბრძოლებში გამოწრთობილი, საკუთარ ძალებში დარწმუნებული, ისე გაერთიანებული და შემჭიდროებული, როგორც არასოდეს არ ყოფილა. კიდევ მოგველის მძიმე, ეკლიანი გზა, ფიცხელი შეტაკებები, სისხლისმღვრელი ბრძოლები, მაგრამ გამარჯვებისაკენ მიმავალი გზა ნათელია. იგი დასახულია სტალინის გენიით, რომლის წინამძღოლობითაც საბჭოთა ხალხი სძლევდა და დასძლევს ყველა დაბრკოლებას, რომელიც იდგა და დგას მის გზაზე.

1942 წელი ჩვენი ხალხის ისტორიაში, კაცობრიობის ისტორიაში შევა როგორც წელი, რომელმაც გზა გაუკაფა მტერზე გამარჯვებას. 1943 წელი გადამწყვეტი გამარჯვების წელი უნდა გახდეს.

ლენინ-სტალინის დროშით წინ, გამარჯვებისაკენ!

„პრავდის“ ბოლოწინავე, 2/I.

(მიღებულია რადიოთი საქრადიოკომიტეტის მიერ).

თავდაცვის სახალხო კომისარიატში

თავდაცვის სახალხო კომისარიატმა შუამდგომლობა აღძრა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წინაშე, რომ წითელ არმიის, პირადი შემადგენლობისათვის შემოღებულ იქნას არსებულის ნაცვლად ახალი განმასხვავებელი ნიშნები—სამხრეები.

მოსკოვი. სკკ(ბ) ც. კ. ს. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ამხანაგ სტალინს

ტამბოველი კოლმეურნეების მაგალითისამებრ, ფრონტისპირა და გერმანელ დამპყრობთაგან განთავისუფლებული რაიონების კოლმეურნეებმა ავიაესკადრილია „გმირული სტალინგრადის“ ასაგებად შეაგროვეს 5.000.000 მანეთი. სახსრების შეგროვება გაჩაღდა სტალინგრადის ოლქის ყველა კოლმეურნეობაში.

სკკ(ბ) ს. ტალინგრადის საოლქო კომიტეტის მდივანი
პროხვატილოვი

სკკ(ბ) სტალინგრადის საოლქო კომიტეტის მდივანს ამხ. პროხვატილოვს

გადაეცით ჩემი ძმური სალამი და წითელი არმიის მადლობა სტალინგრადის ოლქის კოლმეურნე ქალებსა და კაცებს, რომელთაც 5.000.000 მანეთი შეაგროვეს ავიაესკადრილია „გმირული სტალინგრადის“ ასაგებად.

ი. სტალინი

მოსკოვი. სკკ(ბ) ცენტრალური კომიტეტი ამხანაგ სტალინს

ამხანაგო სტალინ, ბაშკირეთის კოლმეურნეებმა და კოლმეურნე ქალებმა, რომელნიც აღფრთოვანებულნი არიან ოქტომბრის დღეების თქვენი ისტორიული მოხსენებითა და ბრძანებით, სულითა და გულით შეაგროვეს სახსრები ჩვენი მშობლიური გმირი წითელი არმიის დასახმარებლად საბრძოლო თვითმფრინავ-გამანადგურებლების „ბაშკირელი გამანადგურებლის“ ასაგებად. რამდენიმე დღის განმავლობაში კოლმეურნეებმა და კოლმეურნე ქალებმა პირადი დანაზოგიდან შეაგროვეს და სახელმწიფო ბანკის განყოფილებაში შეიტანეს 87.250.000 მანეთი. სახსრების შეგროვება გრძელდება.

გთხოვთ, ამხანაგო სტალინ, შეგროვებული სახსრებით ავებულ საბრძოლო თვითმფრინავთა დივიზიებს უწოდოთ: „ბაშკირელი კოლმეურნე“, „კაპიტანი გასტელო“, ბაშკირელი ხალხის გმირის სახელი „სალავათ იულაევი“.

საკ. კ. ს. (ბ) ბაშკირეთის საოლქო კომიტეტის მდივანი
ვაღიოლნჩენკო

უფა. სკკ(ბ) ბაშკირეთის საოლქო კომიტეტის მდივანს ამხ. ვაღიოლნჩენკოს

გადაეცით ჩემი ძმური სალამი და წითელი არმიის მადლობა ბაშკირეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კოლმეურნეებსა და კოლმეურნე ქალებს, რომელთაც 87.250.000 მანეთი შეაგროვეს საბრძოლო თვითმფრინავ-გამანადგურებლების „ბაშკირელი გამანადგურებლის“ ასაგებად.

ი. სტალინი

ბრძანებაულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საბჭოთა კავშირის გმირის, გვარდიის კაპიტან ალექსანდრე ეგნატეს-ძე მოლოდჩის „ოქროს ვარსკვლავის“ მეორე medlით დაჯილდოების შესახებ

გერმანიის ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ფრონტზე სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის, რაც საბჭოთა კავშირის გმირის წოდების მიღების უფლებას იძლევა, დაჯილდოებულ იქნას საბჭოთა კავშირის გმირი გვარდიის კაპიტანი ალექსანდრე ეგნატეს-ძე **მოლოდჩი „ოქროს ვარსკვლავის“** მეორე medlით, დამზადდეს ბრინჯაოს ბიუსტი და დაიდგას იგი კვარცხლბეკზე დაჯილდოებულის სამშობლოში.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
მ. კალინინი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ა. გორკინი.

მოსკოვი, კრემლი. 1942 წ. 31 დეკემბერი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ამხ. გ. სვანურეას
საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარეს ამხ. ვ. ბაქრაძეს
საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანს ამხ. კ. ჩარკვიანს

უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, უკრაინის სსრ სახალხო კომისართა საბჭო და უკრაინის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი გთხოვენ უკრაინელი ხალხის სახელით გულწრფელი და გულითადი მადლობა გადასცეთ მოძმე ქართველ ხალხს, რომელმაც უკრაინის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის XXV წლისთავთან დაკავშირებით ძმური სალამი უძღვნა უკრაინელ ხალხს. უკრაინელი და ქართველი ხალხების მეგობრობა მუდამ ურყევი იყო და იქნება. მრავალი წლის მანძილზე ერთად წარმოებულმა შემოქმედებითმა მუშაობამ ურთიერთის დაუნათესავა ჩვენი ხალხები. მშვიდობიანი შემოქმედებითი შრომის წლებში ჩვენი რესპუბლიკების სოციალისტური შეჯიბრება ჩვენი ხალხების მტკიცე მეგობრობის მკაფიო გამოხატულება იყო და ახალ ძალებს ჰმატებდა მათ შრომითი სხვაგირო საქმეებისათვის. სტალინური კონსტიტუციის მზის ქვეშ თანაბრად სდსიხარულობ იყო შრომა აყვავებული უკრაინის მინდვრებზე და მშვენიერი საქართველოს ხეობებში.

როდესაც მუხანათმა მტერმა — გერმანიის ფაშიზმმა დასძრა თავისი ურდოები ჩვენი საბჭოთა სამშობლოს მიწა-წყლის, უკრაინის მიწა-წყლის წინააღმდეგ, უკრაინელ ხალხს დაეხმარნენ ჩვენი ქვეყნის ყველა მოძმე ხალხები და მათთან ერთად მოძმე საქართველოს გმირი შვილებიც. უკრაინელ ხალხს მუდამ მადლობით ეხსომება ეს დახმარება და არასოდეს არ დავიწყებს მას. ვერაგ მტერთან გააფთრებულ ბრძოლაში ყველა განსაცდელს გაუძლო და კიდევ უფრო განმტკიცდა საბჭოთა კავშირის ხალხთა სტალინური მეგობრობა. თქვენი ძმური მისალმების სიტყვები მკაფიო მოწმობაა საბჭოთა კავშირის ხალხთა ურყევი სტალინური მეგობრობისა, იმის ახალი დამამტკიცებელი საბუთია, რომ უკრაინის განთავისუფლებისათვის ბრძოლის საქმე ჩვენი დიადი სამშობლოს ყველა მუშის, გლეხისა და ინტელიგენციის მახლობელი და ღვიძლი საქმეა.

სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მძალმება უკრაინის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მუშებისა, კოლმეურნეებისა და ინტელიგენციისადმი, რომელიც ხელმოწერილია ამხანაგ **სტალინისა** და ამხანაგ **მოლოტოვის** მიერ, გამოიწვევს საბრძოლო სულისკვეთების კიდევ უფრო დიდ აღმავლობას ფრონტზე და ზურგში, უფრო გაამძლიერებს პარტიზანთა დარტყმებს გერმანელ დამპყრობთა მიმართ. უკრაინელი ხალხი, მოძმე ქართველ ხალხთან და საბჭოთა კავშირის ყველა ხალხებთან ერთად, ჩვენი დიდი ბელადისა და მხედართმთავრის ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით შეასრულებს თავის ვალს სამშობლოს წინაშე.

უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
მ. გრეჩუხა

უკრაინის სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე
ლ. კორნიეცი

უკრაინის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის მდივანი ნ. ხრუშჩოვი

ბრძოლა კოჯელნიკოვოსათვის

სტალინგრადის ფრონტი, 1 იანვარი („პრავდის“ სპეც. კორ.). ერთი თვის წინათ, როდესაც ჩვენმა ნაწილებმა დაარტყეს გერმანელებს, მოწინააღმდეგის სამხრეთის დაჯგუფება მოსწყვიტეს ვოლგასა და სტალინგრადს, გერმანელებმა მთელი ძალღონე იხმარეს, რომ შეენარჩუნებინათ კოტელნიკოვო. მათ ეს შესძლეს. შემდეგ მტერმა აქ თავი მოუყარა დიდ ძალებს — სამ სატანკო დივიზიას, გადმოვიდა კონტრშეტევაზე და ცდილობდა კვლავ გაჭრილიყო სტალინგრადისაკენ, გარემოცვაში მოხვედრილი თავისი დიდი დაჯგუფებისაკენ. ჩვენი ნაწილები დონისპირა ველებში მანევრობდნენ და შეუპოვარ ბრძოლებში ჰქანცავდნენ მტრის ძალებს, აქუცმაცებდნენ ფაშისტთა დამკვრელ მუშტს, უდიდეს ზარალს აყენებდნენ გერმანელთა სატანკო და ქვეითის ნაწილებს.

ასრულებდნენ რა წითელი არმიის უმაღლესი მთავარსარდლობის ბრძანებას, ჩვენი ჯარები გაბედულად გადავიდნენ შეტევაზე, ხელთ იგდეს ინიციატივა და ფაშისტებს თავზარდაცემა ძალის დარტყმა აგემეს. ჰიტლერელებს, რომლებიც საბჭოთა ჯარების მიძალების გამო უკან იხევდნენ, იმედი ჰქონდათ, რომ კვლავ შეინარჩუნებდნენ ქალაქ კოტელნიკოვოს. გერმანელთა სარდლობამ ყველაფერი გააკეთა, რომ სამხრეთის ამ პატარა ქალაქთან შეეჩერებინა ჩვენი შემტევი ნაწილები. ქალაქი გადაქცეულ იქნა წინააღმდეგობის გამაგრებულ კვანძად. სადაც თავი მოუყარეს საბრძოლო წესრიგში სასწრაფოდ მოყვანილ შებერტყილ ნაწილებს, ტექნიკისა და არტილერიის მთელ ნაშთებს. ქალაქი განსაკუთრებით ძლიერ იყო დაცული ჩრდილოეთის მხრივ. მაგრამ ჩვენმა ჯარებმა დასაყრდენ პუნქტზე პირდაპირ კი არ დაიწყეს შეტევა, არამედ მას ერთდროულად დაუწყეს შემოვლა დასავლეთიდან და აღმოსავლეთიდან.

გვარდიის ქვეგანაყოფებმა სძლიეს გერმანელთა წინააღმდეგობა მარჯვენა ფლანგზე და პირისპირ მიადგნენ ქალაქს. ტანკისტებმა, რომლებიც ამ ოპერაციაში მთავარ როლს ასრულებდნენ, გადასჭრეს რკინიგზა და მტერს უკანდასახევი გზა მოუჭრეს.

ქალაქზე შეტევა დაიწყო 28 დეკემბერს ღამით. გვარდიის ქვეგანაყოფებმა, ფაშისტთა მთავარი ძალების ყურადღება თავისაკენ რომ მიეზიდათ, მრაწყეს დემონსტრირებული შეტევა ფლანგზე. ამ დროს ჩვენმა ძირითადმა სატანკო და მსროლელმა ქვეგანაყოფებმა სწრაფი შეტევით გაარღვიეს თავდაცვა და ქალაქში შეიჭრნენ. გვარდიელებმა ხელთ იგდეს სადგური. ტანკისტები და მსროლელები ანადგურებდნენ და სპობდნენ მტრის ძალებს ქუჩებში. 30 დეკემბერს დილით ჩვენი ნაწილები მთლიანად დაეუფლნენ ქალაქს. მოსპეს გერმანელთა ორი ქვეითი პოლკი, დიდძალი ტექნიკა და ხელთ იგდეს დიდი დავლა.

გუშინ და დღეს ჩვენი ნაწილები განაგრძობდნენ მტრის დევნას. დღეს ჩვენი წინსვლის მარტო ერთ უბანზე ტყვედ წამოყვანილია მტრის 400 ჯარისკაცი და ოფიცერი.

ჩვენი ჯარების შეტევა წარმატებით გრძელდება.

(მიღებულია რადიოთი საქრადიოკომიტეტის მიერ).

ამუშავდა მოსკოვის მეტროპოლიტენის მესამე რიგი

1943 წლის პირველ დღეს დედაქალაქის მშრომელებმა ახალი შესანიშნავი საჩუქარი მიიღეს. ამუშავდა მოსკოვის მეტროპოლიტენის მესამე რიგი.

6,2 კილომეტრი სიგრძის ახალი მიწისქვეშა ტრასი შეაერთებს ქალაქის. ცენტრს—სვერდლოვის მოედანს მოსკოვის სამრეწველო რაიონებთან.

მეტროპოლიტენის მესამე რიგის აგების დროს ამოღებულია 700.000 კუბური მეტრი გრუნტი, დაწყობილია 200.000-მდე კუბური მეტრი ბეტონი და 100.000 ტონა ტიუბინგი. მეტროს — მოსკვორეკის რადიუსი ოთხჯერ გადასერავს მდინარე მოსკოვს ღრმად მიწისქვეშ. (საკდესი).

უკანასკნელ საათს

ცენტრალურ ფრონტზე ჩვენმა ჯარებმა გაბედული იერიშის შედეგად დაიკავეს ქალაქი და რკინიგზის კვანძი ველიკიე ლუკი. ქალაქში მყოფმა გერმანელთა გარნიზონმა უარი სთქვა იარაღის დაყრაზე, რის გამოც იგი გაუულეტილ იქნა.

სტალინგრადის სამხრეთით ჩვენმა ჯარებმა დაიკავეს ქალაქი ელისტა.

სტალინგრადის სამხრეთ-დასავლეთით ჩვენმა ჯარებმა დაიკავეს რაიონული ცენტრი ტორმოსინი.

ჩრდილოეთ კავკასიაში ჩვენმა ჯარებმა დაიკავეს რაიონული ცენტრი ჩიკოლა.

წამოყვანილია ტყვეები და წამოღებულია დავლა.

საბჭოთა საინფორმაციო ბიურო.

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან
2 იანვრის საღამოს ცნობა

2 იანვრის განმავლობაში ჩვენი ჯარები **დონის** შუაწელის რაიონში, **სტალინგრადის** სამხრეთ-დასავლეთით და სამხრეთით, **ცენტრალურ** ფრონტზე და **ჩრდილოეთ კავკასიაში** ეწეოდნენ შეტევითს ბრძოლებს. ჩვენმა ჯარებმა დაიკავეს რაიონული ცენტრი **დუბოვსკოე,** რკინიგზის სადგური **რემონტნაია** და რაიონული ცენტრი **ელხოტოვო.**

* * *

სტალინგრადის რაიონში ჩვენს ჯარებს ცეცხლითი ბრძოლა ჰქონდათ მტერთან და ზვერავდნენ მას. საქარხნო რაიონში მოიერიშე ჯგუფებმა **მტრის** რამდენიმე დასაყრდენი პუნქტი დაიკავეს; ამ პუნქტებისათვის ბრძოლებში მოსპობილია ორასზე მეტი ჰიტლერელი. სტალინგრადის ჩრდილო-დასავლეთით ჩვენმა მებრძოლებმა 25 ბლინდაჟიდან და სანგრიდან განდევნეს გერმანელები, ხელთ იგდეს 3 ქვემეხი, 3 ნაღმსატყორცნი, 6 ტყვიამფრქვევი, 50 შაშხანა, 500 ნაღმი და დიდძალი ვაზნა. მოკლულია 80 ჰიტლერელი. წამოყვანილია ტყვეები. საბჭოთა ნაწილების მიერ დაკავებულ ტერიტორიაზე დაეშვა გერმანელთა სატრანსპორტო თვითმფრინავი სურსათიანად. თვითმფრინავის ეკიპაჟი წამოყვანილია ტყვედ.

* * *

სტალინგრადის სამხრეთ-დასავლეთით და სამხრეთით ჩვენი ჯარები წარმატებით შიიწევდნენ წინ და დაიკავეს რამდენიმე დასახლებული პუნქტი, მათ შორის, რაიონული ცენტრი დუბოვსკოე და რკინიგზის სადგური რემონტნაია. დუბოვსკოეში და რკინიგზის სადგურ რემონტნაიაში ხელთ ვიგდეთ დიდი დავლა; დავლაში არის ტანკები, საარტილერიო და სასროსათო საწყობები და სხვადასხვა სამხედრო ქონება. ხელთ ვიგდეთ აგრეთვე პირუტყვის მრავალი ჯოგი. ქალაქ ელისტასთვის ბრძოლაში საბჭოთა ჯარებმა გაანადგურეს გერმანიის მე-60 მოტორიზებული პოლკი, მესანგრეთა ბატალიონი, 156-ე მოტორიზებული პოლკის ბატალიონი და მოწინააღმდეგის სხვა ნაწილები და ქვეგანაყოფები. ჩვენმა მოძრავმა რაზმებმა, რომელნიც უკუქცეულ მტერს მისდევენ, 800-მდე გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი გაჟლიტეს, ტყვედ წამოიყვანეს 200 კაცი და ხელთ იგდეს 6 ქვემეხი. მრავალი ტყვიამფრქვევი, **ავტომანქანები** და **სხვა** დავლა.

* * *

დონის შუაწელის რაიონში ჩვენი ჯარები შეტევას განაგრძობდნენ. 5 ნაწილმა წინ წაიწია და გადასჭრა გზა, რომელიც გერმანელების მიერ დაკავებულ ორ დიდ დასახლებულ პუნქტს აერთებს. მოსპობილია მტრის 300-ზე მეტი ჯარისკაცი **და ოფიცერი.** მეზობელ უბანზე მოგერიებულია მოწინააღმდეგის კონტრიერიში. დაზიანებული და დამწვარია გერმანელთა 16 ტანკი. ჩვენმა მზვერავმა რაზმმა გერმანიის ქვეითი პოლკის შტაბი გაანადგურა, ამასთან მოსპო ოფიცერთა ჯგუფი და პოლკოვნიკი — პოლკის მეთაური. წამოღებულია შტაბის დოკუმენტები.

* * *

ცენტრალურ ფრონტზე ჩვენი ჯარები შეტევითს ბრძოლებს ეწეოდნენ. ველიკიე ლუკის დასავლეთით მდებარე რაიონში 5 ნაწილის მებრძოლებმა განდევნეს გერმანელები გამაგრებული პოზიციებიდან, მოსპეს მტრის 5 ტანკი და 160 ჯარისკაცი და ოფიცერი. რეკვის დასავლეთით მდებარე რაიონში მებრძოლებმა ამხ. ილიაშენკოს მეთაურობით უკანასკნელ ბრძოლებში გერმანელთა მთელი რიგი ნაწილები და ქვეგანაყოფები გაანადგურეს. საბრძოლო ოპერაციების მსვლელობაში მოსპობილია მტრის 49 ტანკი, 9 ჯავშნიანი მანქანა და 30 ავტომანქანა.

* * *

ნალჩიკის სამხრეთ-აღმოსავლეთით 5 შენაერთის ნაწილებმა მოწინააღმდეგის მიერ დაკავებულ რაიონულ ცენტრ ელხოტოვოს მოუარეს და შიგ შეიჭრნენ. ქუჩებში გაჩაღებულ ბრძოლებში მოსპობილია 400-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. დღის დამლევისათვის ჩვენმა ნაწილებმა ელხოტოვო დაიკავეს, სხვა უბანზე ჩვენმა მებრძოლებმა იერიში მიიტანეს მოწინააღმდეგზე და ბრძოლის შედეგად დიდნაწილოვანი თავდაცვითი ხლდდ დაიკავეს. ჰიტლერელებმა ამ ბრძოლაში რამდენიმე ასეული ჯარისკაცი და ოფიცერი დაკარგეს მოკლულთა სახით. დაზიანებული და დამწვარია მოწინააღმდეგის 14 ტანკი და ერთი ჯავშნიანი მანქანა.

* * *

მოწინააღმდეგესთან ოთხი დღის ბრძოლებში ორიოლის ოლქში მოქმედმა ზჩორსის სახელობის, პარტიზანულმა რაზმმა და რაზმმა „სიკვდილი გერმანელ ოკუპანტებს“ 200-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი გაჟლიტეს. კურსკელ პარტიზანთა რაზმმა ლიანდაგიდან გადააგდო გერმანელთა სამხედრო ეშელონი. დამტვრეულია 5 ვაგონი და ერთი ორთქლმავალი. ბევრი ვაგონი და პლატფორმა დაზიანებულია.

* * *

მიღებულია ცნობა იმ სისხლიან ბოროტმოქმედებათა შესახებ, რაც გერმანელმა ფაშისტმა არამზადებმა ჩაიდინეს ქალაქ პოლტავაში. მარტო უკანასკნელი ორი თვის განმავლობაში ჰიტლერელებმა წამებით მოჰკლეს და დახვრიტეს 1.000-ზე მეტი ადგილობრივი მცხოვრები. გერმანელებმა ქალაქში და მის მიდამოებში მოაწყეს რამდენიმე საპყრობილე და საკონცენტრაციო ბანაკი, რომლებიც გაჭედილია პატიმრებით. დეკემბრის მეორე ნახევარში გერმანელებმა საპყრობილეებში დაამწყვდიეს რამდენიმე ასეული კაცი, მათ შორის 65 რკინიგზელი, რომელთაც უარი განაცხადეს წასულიყვნენ გერმანიაში ჰიტლერულ კატორღაში სამუშაოდ. დაპატიმრებულთ სიკვდილით დასჯა მოელოთ. პოლტავის საპყრობილიდან გამოქცეულმა ივანე დოროშენკომ განაცხადა, რომ გერმანელი ჯალ

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

1 იანვრის საღამოს ცნობა

1 იანვრის განმავლობაში ჩვენი ჯარები დონის შუაწელის რაიონში, სტალინგრადის სამხრეთ-დასავლეთით და სამხრეთით, ცენტრალურ ფრონტზე და ჩრდილოეთ კავკასიაში ტეტვეთის ბრძოლებს ეწეოდნენ. ჩვენმა ჯარებმა დაიკავეს ქალაქი და რკინიგზის კვანძი ველიკია ლუკი, ქალაქი ელისტა, რაიონული ცენტრები ტორმოსინი, ჩიკოლა და დიდი დასახლებული პუნქტები — ნიუნე-კურმოიარსკაია, ბაბული პუნქტები, ბერეოზკა, ბაკლანოვსკი, უუკოვსკაია, კრივსკოი, მალო-ლუჩნაია, სტეპანო-რაზინსკი, კომპროვი, კრასნი იარი, ვერხნე-სოლონოვსკი, ნიუნე-სოლონოვსკი, პოპოვი, ხაზნადონი, ტოლმგუნი.

* * *

31 დეკემბერს ჩვენი ავიაციის ნაწილებმა ფრონტის სხვადასხვა უბანზე მოსპეს ან დააზიანეს გერმანელთა 10 ტანკი, 50-მდე ავტომანქანა ჯარებიანად და ტვირთიანად, ჩაახშეს 7 საარტილერიო ბატარეის ცეცხლი, აეფეთქეს საამარი მასალის ორი საწყობი, გაპფანტეს და ნაწილობრივ მოსპეს მოწინააღმდეგის ორ ასეულამდე ქვეითი ჯარი.

* * *

სტალინგრადის საქარხნო რაიონში ჩვენმა მოიერიშე რაზმებმა, რომელნიც მტრის წინააღმდეგობას სძლევდნენ, 100-300 მეტრით წაიწიეს წინ. მოსპობილია მტრის მრავალი ძელმოწური საცეცხლე წერტი და ბლინდაჟი. გაჟლეტილია 400-მდე გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. ხელთ ვიგდეთ 6 ტყვიამფრქვევი, რამდენიმე ნაღმსატყორცნი და 20.000 ვაზნა.

* * *

სტალინგრადის ჩრდილო-დასავლეთით ჩვენმა ნაწილებმა იერიში მიიტანეს მტერზე და ხელსაყრელი პოზიციები დაიკავეს. ბრძოლის ველზე დარჩა მტრის 300-ზე მეტი გვამი და გერმანელთა 5 დაზიანებული ტანკი. ხელთ ვიგდეთ 8 ტყვიამფრქვევი, 3 ნაღმსატყორცნი, 11 ტანკსაწინააღმდეგო თოფი, რადიოსადგური და სხვა დაკლ.

* * *

სტალინგრადის სამხრეთ-დასავლეთით ჩვენი ჯარები წარმატებითს შეტევას განაგრძობდნენ და რამდენიმე ათეული დასახლებული პუნქტი დაიკავეს. სტალინგრადის სამხრეთით ჩვენმა ნაწილებმა გაიფრენეს ბრძოლის შემდეგ დაიკავეს ქალაქი ელისტა. გერმანელებს უდიდესი ზარალი მოუვიდათ. ტანკისტებმა უფროს ლეიტენანტ დმიტრიევის მეთაურობით იერიში მიიტანეს უკანდახეულ მტერზე, გაჟლეტეს 300-ზე მეტი ჰიტლერელი და მოსპეს 12 ქვეითი. სხვა უბანზე 5 ნაწილის მებრძოლებმა ვაჟლეტეს ერთ ბატალიონამდე ჰიტლერელი, ტყვედ წამოიყვანეს 400 კაცი და მოწინააღმდეგეს წაართვეს 6 ვარვიზი ტანკი.

* * *

დონის შუაწელის რაიონში ჩვენი ჯარები შეტევითს ბრძოლებს განაგრძობდნენ და რამდენიმე დასახლებული პუნქტი დაიკავეს. ობლიეკაიას რაიონში საბჭოთა ნაწილებმა ხელთ იგდეს 50-ზე მეტი ქვეითი, 50 ავტომანქანა, 12 ტრაქტორი, 1.500 შაშხანა, საარტილერიო საწყობი, 3 ნივთსაწყობი და 3 სასურსათო საწყობი, ფქვილის საწყობი, ელევატორი მარცვლეულიანად, საწვავის საწყობი, საწყობი სფინაურო ქონებიანად და სხვა დაკლ. განთავისუფლებულია 3.000 მშვიდობიანი საბჭოთა მოქალაქე, რომლებიც გერმანელებს სამხედრო ნაგებობათა ასაშენებლად მოერეკნათ. 6 ნაწილის მებრძოლებმა წინსვლისას გაჟლეტეს 600 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი, მოსპეს 10 ქვეითი, 15 ავტომანქანა და 20 საზიდარი.

* * *

ცენტრალურ ფრონტზე ჩვენი ჯარები შეტევას განაგრძობდნენ. ჩვენმა ნაწილებმა გაბედული იერიშის შედეგად დაიკავეს ქალაქი და რკინიგზის კვანძი ველიკიე ლუკი. ქალაქში მყოფმა გერმანელთა გარნიზონმა უარი სთქვა იარაღის დაყრაზე, რის გამოც იგი გაჟლეტილ იქნა. სხვა უბანზე 6 ნაწილის მებრძოლებმა დაიკავეს მოწინააღმდეგის რამდენიმე თავდაცვის კვანძი და ტყვედ წამოიყვანეს 200 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. ბრძოლის ველზე მტრის მრავალი გვამი დარჩა.

* * *

ნალჩიკის სამხრეთ-აღმოსავლეთით ჩვენმა ჯარებმა დაიპყრეს რაიონული ცენტრი ჩიკოლა და დასახლებული პუნქტები ხაზნადონი და ტოლძგუნი. წამოიყვანეს ტყვეები და წამოღებულია დაკლ. სხვა უბანზე ჩვენი ჯარები, რომელთაც თერგი გადალახეს, კვლავ ავიწროებდნენ მოწინააღმდეგეს და მოსპეს გერმანელთა ორ ასეულამდე ქვეითი ჯარი, 4 ქვემეხი და 4 ნაღმსატყორცნი. ბატარიამ გვარდიის კაპიტან კაბიცკის მეთაურობით რამდენიმე საათის განმავლობაში ჩაახშო 5 დაზიანებული ტანკი, ცეცხლი და მოსპო მოწინააღმდეგის 13 ავტომანქანა სამხედრო ტვირთიანად.

* * *

ლენინგრადის ფრონტზე ჩვენმა სნაიპერებმა ორი დღის განმავლობაში მოწინააღმდეგის 380 ჯარისკაცი და ოფიცერი გაჟლეტეს. არტილერიის ცეცხლით მოსპობილია 3 ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხი, 4 ნაღმსატყორცნი ბატარეა, 10 ავტომანქანა და რამდენიმე საზიდარი სამხედრო ტვირთიანად, დანგრეულია გერმანელთა 26 ძელმოწური საცეცხლე წერტი და ბლინდაჟი.

* * *

პარტიზანულმა რაზმმა, რომელიც მოქმედებს სმოლენსკის ოლქში, გერმანელების მიერ ოკუპირებულ ერთ-ერთ რაიონში, ლიანდაგიდან გადაადგილ მოწინააღმდეგის ორი ეშელონი. დაიმსხვრა 12 ვაგონი სხვადასხვა ტვირთიანად და 8 ვაგონი ჯარებიანად, 17 პლატფორმა ავტომანქანებიანად და 3 ცისტერნი ბენზინიანად. სმოლენსკელ პარტიზანთა სხვა რაზმი ბრძოლას ეწეოდა გერმანელთა ჯარის ნაწილის წინააღმდეგ. ამ ბრძოლაში საბჭოთა პატრიოტებმა 68 ჰიტლერელი გაჟლეტეს.

2 იანვრის ღილის ცნობა

1 იანვრის ღამის განმავლობაში დონის შუაწელის რაიონში, სტალინგრადის სამხრეთ-დასავლეთით და სამხრეთით, ცენტრალურ ფრონტზე და ჩრდილოეთ კავკასიაში ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ შეტევითს ბრძოლებს წინანდელი მიმართულებებით.

* * *

სტალინგრადის საქარხნო რაიონში ჩვენმა ქვეგანაყოფებმა დაიკავეს რამდენიმე სახლი, 39 ძელმოწური საცეცხლე წერტი და ბლინდაჟი. მოსპობილია 100-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. სტალინგრადის ჩრდილო - დასავლეთით ჩვენმა ნაწილებმა გაიფრენეს ბრძოლის შედეგად დაიკავეს მოწინააღმდეგის ათობით სანგარი და ბლინდაჟი. გერმანელებმა, რომელნიც ცდილობდნენ დაკარგული პოზიციები დაებრუნებინათ, რამდენიმე კონტრიერიში მოიტანეს, მაგრამ წარმატებას ვერ მიაღწიეს. გაჟლეტილია მოწინააღმდეგის ერთ ასეულამდე ქვეითი ჯარი და მოსპობილია გერმანელთა 7 ტანკი. ხელთ ვიგდეთ 4 ტანკი, 21 ტყვიამფრქვევი, 85 შაშხანა და 14 ავტომატი.

* * *

სტალინგრადის სამხრეთ-დასავლეთით და სამხრეთით ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ წარმატებითს შეტევას და მთელი რიგი დასახლებული პუნქტები დაიკავეს. უკანდახეულს გერმანელები სტოვებენ დიდძალ ტექნიკას, სხვადასხვა იარაღს, სამხედრო საკუთრებასა და ქონებას. ერთი დასახლებული პუნქტისათვის ბრძოლებში 5 ნაწილმა 300-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი მოსპო და 135 ტყვე წამოიყვანა. ხელთ ვიგდეთ 8 ქვემეხი, 17 ტყვიამფრქვევი, 28 ავტომანქანა სხვადასხვა ტვირთიანად და სურსათის საწყობი. სხვა უბანზე საბჭოთა ტანკისტებმა გაანადგურეს მოწინააღმდეგის ბატალიონი. ბრძოლის ველზე დაეთვალეთ გერმანელ ჯარისკაცთა და ოფიცერთა 400-ზე მეტი გვამი. წამოიყვანილია 100 ტყვე.

* * *

დონის შუაწელის რაიონში ჩვენი ჯარები შეტევას განაგრძობდნენ. 5 ნაწილის მებრძოლებმა სძლიეს წინააღმდეგობა მტრისა, რომელიც ხელსაყრელ ზღუდეებს იცავდა. ბრძოლის შედეგად დაზიანებულია 7 ტანკი. უკანდახეულს გერმანელებმა დასტოვეს 3 თვითმავალი ქვემეხი, 8 ნაღმსატყორცნი, მრავალი ჭურვი და ვაზნები, სხვა უბანზე ჩვენმა მოტოქვეითმა ჯარმა დასახლებული პუნქტი დაიკავა და ტყვედ წამოიყვანა მტრის 230 ჯარისკაცი და ოფიცერი.

* * *

ცენტრალურ ფრონტზე ჩვენი ჯარები შეტევითს ბრძოლებს ეწეოდნენ, ხოლო ცალეულ უბნებზე მოწინააღმდეგის კონტრიერიებს იგერიებდნენ. ჩვენმა ნაწილებმა, რომლებმაც ქალაქი ველიკიე ლუკი დაიკავეს, ალეულთ იგდეს დიდი დავლა. რეკვის დასავლეთით მდებარე რაიონში მოწინააღმდეგის დიდი შენაერთმა ტანკების დახმარებით რამდენჯერმე სცადა იერიში მოეტანა ჩვენს პოზიციებზე. 5 ნაწილის მებრძოლებმა, რომელნიც სერჟანტ მეფვედევი.

საბჭოთა მეურნეობებმა ვადამდე შეასრულეს ჩაის უხეში ფოთლის კრეფის გეგმა

საქართველოს ჩაის საბჭოთა მეურნეობების ტრესტის საბჭოთა მეურნეობებმა ჩაის უხეში ფოთლის კრეფის გეგმა 25 დეკემბრისათვის 101,1 პროცენტით შეასრულეს. გეგმით გათვალისწინებული 1.460 ტონის ნაცვლად მოკრეფილია და სახელმწიფოს ჩაბარდა 1.471,1 ტონა ჩაის უხეში ფოთოლი.

საქ. ჩაის საბჭოთა მეურნეობების ტრესტის დირექტორი ა. თოდუა

შეასრულეს ხორცის ჩაბარების 1943 წლის გეგმა

ზუგდიდი. აფხაზეთის კოლმეურნეები და კოლმეურნე ქალები, რომლებმაც ვადამდე შეასრულეს სახელმწიფოსათვის ხორცის ჩაბარების გეგმა, და მნიშვნელოვანი გადამეტებით შეასრულეს დავალება სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სახელმწიფოებრივი შესყიდვის მიზნით, ამჟამად აჩაღებენ მუშაობას სახელმწიფოსათვის ხორცის ჩასაბარებლად მომავალი წლის ანგარიშში. ოჩამჩირის რაიონის კოლმეურნეებმა 1943 წლის ანგარიშში უკვე ჩაბარეს 258 ცენტნერი ხორცი.

გმირი წითელი არმიის მებრძოლთა წარმატებითი შეტევით აღფრთოვანებული კოლმეურნეები ცდილობენ მთელი ძალღონით დაეხმარონ ფრონტს.

გალის რაიონის სოფ. ოქუმის ლენინის სახელობის კოლმეურნეობისა და კოლმეურნეობა „გლეხის ხმის" წევრებმა ვადამდე შეასრულეს ხორცის ჩაბარების 1943 წლის გეგმა. მათ მაგალითს ჰბაძავს აფხაზეთის ბევრი კოლმეურნე.

(საქდესი).

გეგმების შესრულება

თელავი (ტელეგრაფით). თელავის მტს-მა ადიური გეგმა 101,4 პროცენტით შეასრულა. გეგმით უნდა მოხრულიყო 10.260 ჰექტარი ბალ ხვნაზე გადაყვანით). სინამდვილეში ახნულია 10.380 ჰექტარი. 1942 წლის მე-4 კვარტალში უნდა შეგვეკეთებინა 13 ტრაქტორი. შევაკეთეთ 15.

გეგმების შესრულებაში თავი ისახელეს მეშვიდე სატრაქტორო ბრიგადამ (ბრიგადირი შამალაშვილი), პირველმა სატრაქტორო ბრიგადამ (ბრიგადირი ნუცუბიძე), მეოთხე სატრაქტორო ბრიგადამ (ბრიგადირი ნახუცრიშვილი), ტრაქტორისტებმა — შ. ბატიაშვილმა, ვ. ბასილაშვილმა, გ. ოთიაშვილმა, მარგო აბრამიშვილმა, ი. ფარესაშვილმა, ნ. შენგელიამ და სხვ.

მტს-ის დირექტორი სეხნიაშვილი
პოლიტ განყოფილების უფროსი ლუარსაბოვი

* * *

ქობულეთის რაიონის ჯიხანჯურის ტუნგოს საბჭოთა მეურნეობამ ტუნგოს ნაყოფის სახელმწიფოსათვის ჩაბარების წლიური გეგმა დაჭარბებით შეასრულა. ტუნგოს ოსაელს კრეფა გრძელდება. მეურნეობამ წარმატებას მიაღწია ციტრუსების დარგშიც, გეგმის გადამეტებით სახელმწიფოს ჩაბარა 40.000 ცალი ნაყოფი.

ჯიხანჯურის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი ქარქაშაძე

უცხოეთის პრესა წითელი არმიის საბრძოლო წარმატებათა შესახებ

ა. ზ. ზტატები

„დონის ველები გერმანელთა ვარაუდების სამარეა"

ნიუ-იორკი, 1 იანვარი (საკდესი). წითელი არმიის საბრძოლო წარმატებანი ამერიკის პრესის მთავარ თემას წარმოადგენენ. ცნობა წითელი არმიის ნაწილების მიერ კოტელნიკოვოს დაკავების შესახებ „გაზეთებმა ყველაზე თვალსაჩინო ადგილას მოათავსეს პირველ გვერდზე მსხვილი სათაურებით.

„გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი" სწერს, რომ ჰიტლერი მთელი ძალ-ღონით ცდილობდა გაემაგრებინა თავისი პოზიციები სტალინგრადის რაიონში. ჰიტლერის ჯარების ახლანდელი უკანდახევა გერმანელებს კიდევ უფრო ძვირად უჯდებათ, ვიდრე ზაფხულს. შეტევა დაუჯდათ. დონის ველები ხდება სამარედ, როგორც ადრე, ასევე ახლა. ეს ადგილი, სადაც ბოლშევიკებმა ალეკანდროვი, ოსეტინოვი, ბოლოტნიკოვი, ბოლოტოვი, ბოლოტინი, ბოლოტოვი, ბოლოტინი, ბოლოტოვი, ბოლოტინ